

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბიზნესის მართვის ფაკულტეტი

სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა და რეგულირება საქართველოში

სალომე ასათიანი

სადოქტორო დისერტაციის რეფერატი ბიზნესის მენეჯმენტში (ბიზნესის
მართვა)

თბილისი 2010

ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. თეიმურაზ ბერიძე

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები:

პროფ. დოქტ. ტატიანა პაპიაშვილი

პროფ. დოქტ. ქეთევან ლაფაჩი

ოპონენტები:

პროფ. დოქტ. ელენე ჩიქოვანი

პროფ. დოქტ. ბესარიონ ფარცვანია

ნაშრომის მოკლე შინაარსი

სასურსათო უსაფრთხოების საკითხის შესწავლა თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სიღარიბის დაძლევა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის არსებითად მნიშვნელოვანია, ამიტომაც მოცემული საკითხი აქტუალურია, როგორც ქვეყნის, ასევე მსოფლიო და გლობალურ დონეზე. სასურსათო პოლიტიკა განსაკუთრებით აქტუალური შედარებით ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებშია, რომლებიც განვითარების გარდამავალ ეტაპზე იმყოფებიან და სასურსათო პოლიტიკისა და რეგულირების სრულყოფას საჭიროებენ.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის საწარმოო პოტენციალზე აგრარულ სექტორში, მოზიდული ინვესტიციების მოცულობაზე, სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებზე; ხოლო, რაც შეეხება ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებასა და სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის ერთობლივად და ეფექტიანად წარმართვას, იგი მხოლოდ სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ფარგლებშია შესაძლებელი.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 169 გვერდს. შედგება ოთხი თავის, ოცდასამი ქვეთავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. ტექსტში ჩართულია 31 საანალიზო ცხრილი, 8 დიაგრამა და 4 დანართი. ნაშრომს თან ერთვის 137 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

თემის შესავალ ნაწილში განხილულია საკითხის აქტუალობა და მნიშვნელობა. საუბარია იმ ძირითად ტენდენციებზე, რაც სასურსათო უსაფრთხოების საკითხის შესწავლისათვისაა აუცილებელი. ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი და ამოცანები, გადმოცემულია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები, ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

პრობლემის აქტუალობა. გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში იზრდება ყველა ქვეყნის შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სურსათის მსოფლიო წარმოებასა და სოფლის

მეურნეობის სექტორში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვაში. სასურსათო უსაფრთხოების საკითხი როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისათვის საკმაოდ აქტუალურია. მან უკვე შეიძინა საერთაშორისო მნიშვნელობა, რადგან კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ნებისმიერი ქვეყნისათვის თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ მსოფლიო ბაზარზე. მიმდინარე ტენდენციები, რაც მსოფლიო პროდუქციის წარმოება, გადამუშავება, განაწილებასა და გასაღებაში შეინიშნება, ხელს უწყობს მოთხოვნის გაზრდას უფრო ეფექტიან, კოორდინირებულ და მობილურ სასურსათო უსაფრთხოებაზე მომუშავე სააგენტოების შექმნაზე.

სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობის უკეთ გასაგებად საინტერესოა თანამედროვე ბაზარზე მიმდინარე მუცა ტენდენციები, რომლებიც სასურსათო უსაფრთხოებაზე ახდენს გავლენას. ეს ტენდენციებია:

- სამომხმარებლო მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდა;
- სახელმწიფოს დამოკიდებულების ცვლილება სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ;
- ტექნოლოგიური რევოლუცია.

საზოგადოდ, სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია საერთაშორისო ბაზარზე დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა. მოცემული ტერმინი სხვადასხვანაირად იქნა განსაზღვრული სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ. სასურსათო უსაფრთხოების ტერმინის ყველაზე უფრო სრულყოფილი განმარტება მსოფლიო ბანკს ეკუთვნის, რომელიც მის განხილვას გვთავაზობს ინდივიდუალურ დონეზე, რომლის თანახმადაც სასურსათო უსაფრთხოება არის ნებისმიერი ინდივიდისათვის ნებისმიერ დროს უსაფრთხო მისაწვდომობა საკმარის საკვებზე, რაც აუცილებელია ჯანმრთელი და აქტიური ცხოვრებისათვის.

კვლევის მიზნები და ამოცანები. მოცემული ნაშრომის ძირითადი მიზანია გამოავლინოს სახელმწიფოს როლი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, შეაფასოს სახელმწიფო პოლიტიკა და რეგულირება არსებული საკითხის გარშემო და განიხილოს ის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს სასურსათო უსაფრთხოებაზე. აგრეთვე, განიხილოს საქართველოს მთავრობისა და გადაწყვეტილების მიმღები სხვადასხვა ინსტიტუტების როლი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, შეაფასოს სახელმწიფო

პოლიტიკა და სტრატეგია ამ სფეროში, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოავლინოს ის ძირითადი და მთავარი დეტერმინანტები და განმსაზღვრელი ფაქტორები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი და თანამედროვე პოლიტიკის შემუშავება საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების რეგულირების სფეროში. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დაისახა შემდეგი ამოცანები:

- სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება და მასზე მოქმედი მთავარი დეტერმინანტების განსაზღვრა;
- განვითარებულ ქვეყნებში მოქმედი სასურსათო უსაფრთხოების რეგულირებისა და პრაქტიკის გამოკვლევა;
- განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში არსებული სასურსათო უსაფრთხოების რეგულირების უზრუნველყოფი საკანონმდებლო მასალების შესწავლა და სისტემატიზაცია; საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის გამოკვლევა;
- სოციოლოგიური კვლევის ჩატარება იმ მთავარი დაინტერესებული მხარეების გამოსავლენად, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სასურსათო უსაფრთხოების რეგულირებასთან;
- საქართველოში სასურსათო უსაფრთხოებაზე მოქმედი ძირითადი ეკონომიკური ფაქტორების მათემატიკურ-სტატისტიკური მოდელირება;

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურა, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები, გამოცემები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და ა.შ.

სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე მდგომარეობის დასადგენად ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა, სადაც ინფორმაციის მოსაპოვებლად განისაზღვრა შესაბამისი საკვლევი მიზანი.

ინფორმაციების მოპოვება განხორციელდა ინტერვიუების ჩატარების მეშვეობით და პირადი კონსულტაციებით. ის ძირითადი შედეგები და აღმოჩენები, რაც გამოკითხვისას

გამოვლინდა, დეტალურადაა წარმოდგენილი ნაშრომის როგორც ძირითად ნაწილში, ასევე დასკვნებსა და რეკომენდაციებში.

სასურსათო უსაფრთხოების მთავარი ფაქტორების გამოსავლენად ჩატარდა მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზი. ნაშრომში წარმოდგენილ იქნა სამი მთავარი ეკონომიკური ფაქტორი, მოხდა მათი მნიშვნელობების გამოანგარიშება, რისთვისაც განისაზღვრა საანგარიშო პერიოდი 1997-2008 წლები. ეკონომიკური ფაქტორების გავლენა სასურსათო უსაფრთხოებაზე გამოკვლეულ იქნა არა მარტო ეროვნულ, არამედ რეგიონულ ჭრილში, რისთვისაც ჩატარდა რეგრესული ანალიზი და გამოყენებულ იქნა ორმაგი დაჯამების მათემატიკური მეთოდი.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და თეორიული მნიშვნელობა. ნაშრომი წარმოადგენს ღრმა ანალიტიკური კვლევის საფუძველზე შესრულებულ პირველ ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელშიც კომპლექსურადაა გამოკვლეული სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია, მისი განმსაზღვრელი მთავარი ეკონომიკური ფაქტორები საქართველოში და მათი ზეგავლენა გამოკვლეულია რეგიონულ ჭრილში.

ნაშრომის მთავარ სიახლეებს წარმოადგენს შემდეგი:

- სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია ღრმად იქნა შესწავლილი, მოხდა მისი შეფასება ინდივიდუალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. მოცემული დონეების განსაზღვრება საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან სასურსათო უსაფრთხოება სინერგიულ ფენომენს წარმოადგენს და მისი არსის გასაგებად ყველა ეტაპზე უნდა იყოს სათანადოდ შესწავლილი;
- სასურსათო უსაფრთხოების შესაფასებლად ჩატარდა შესაბამისი ეკონომიკური ანალიზი. გაანალიზებულ იქნა მაკროეკონომიკის ის მნიშვნელოვანი კომპონენტები, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობაზე;

- შეფასებულ იქნა საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების კავშირი ეკონომიკურ ზრდასთან, შერჩეულ იქნა მთავარი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც პრობლემას ყველაზე სრულყოფილად ასახავენ;

- ნაშრომში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა მთავარი დაინტერესებული მხარეები, რომლებიც ჩართული არიან ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა ძირითადი გამოწვევები და დაბრკოლებები, რაც თანამედროვე სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკაში აღინიშნება, კერძოდ ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორცაა სახელმწიფოსა და მომხმარებელს შორის კომუნიკაცია, სტანდარტების განვითარება, კანონმდებლობა, სისტემის გამჭვირვალობა, სხვადასხვა რეფორმების გატარების აუცილებლობა და უამრავი სხვა სახის რეკომენდაცია;

- საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების გასაზომად შემოთავაზებულ იქნა სამი მთავარი ეკონომიკური ინდიკატორი, როგორცაა სურსათის ხელმისაწვდომობა, სურსათის მოხმარება და სურსათის უზრუნველყოფა. შესაბამისი სტატისტიკური მეთოდებით გამოანგარიშებულ იქნა თითოეული მათგანი და დადგინდა მათი მნიშვნელობა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისათვის.

ნაშრომში წარმოდგენილ შედეგებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნიათ, ისინი შეიძლება ეფექტიანად იქნას გამოყენებული სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგულირების შემუშავებისას.

ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია ავტორის მიერ შესრულებულ 12 სამეცნიერო პუბლიკაციაში. ნაშრომში გამოვლენილი შედეგების გამოყენება შეუძლიათ როგორც სამთავრობო ხელისუფლებაში, ასევე სხვადასხვა დაწესებულებებში მომუშავე მკვლევარებს, ექსპერტებს, მეცნიერებს, სპეციალისტებს, მომხმარებლებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

ნაშრომის პირველ თავში *“ლიტერატურული მიმოხილვა”* ძირითადად განხილულია სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე არსებული შესაბამისი ლიტერატურა, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. ლიტერატურა მოიცავს სახელმძღვანელოებს, სტატიებს, ანგარიშებს, სტატისტიკურ მასალებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ

მომზადებულ მოხსენებებს, ინფორმაციულ ბუკლეტებს, ანალიტიკურ ანგარიშებს და სხვ. საჭირო ლიტერატურის მოპოვების შემდეგ მოხდა მათი სათანადო დამუშავება და კლასიფიკაცია, დაჯგუფება სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, კერძოდ აღნიშნულ თავში არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილია სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციის არსი, მისი ევოლუცია, მოქმედების ფარგლები, და კონცეფციის განმსაზღვრელი ფაქტორები. სასურსათო უსაფრთხოება გაანალიზებულია სამ ღონეზე- ინდივიდუალურ, ეროვნულ და საერთაშორისო ღონეებზე. სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციის გასაზომად გამოვლინდა კონკრეტული საზომი დეტერმინანტები, გამოყენებულ იქნა ვარიაციის კოეფიციენტი, რომელიც გამოიყენება სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფელი სათანადო დონის განსაზღვრისთვის. შეფასდა სასურსათო უსაფრთხოების გავლენა მაკრო და მიკროეკონომიკურ პოლიტიკაზე, გამოვლინდა სასურსათო პოლიტიკაზე მოქმედი მთავარი ფაქტორები, მათ შორის ეკონომიკური ფაქტორები, განისაზღვრა სურსათის წარმოებისა და მოხმარების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებიც.

ნაშრომის მეორე თავში *“სასურსათო უსაფრთხოების კანონმდებლობა და რეგულირება ევროკავშირში”*, მოცემულია სასურსათო უსაფრთხოების შესახებ არსებული ძირითადი საერთაშორისო კანონმდებლობა და წარმოდგენილია საკითხის რეგულირება ევროკავშირში. თემაში დეტალურადაა მიმოხილული იმ მთავარი ორგანიზაციების რეგულირებანი, როგორცაა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და კოდექს ალიმენტარიუსის რეგულირება (მოცემული ორგანიზაცია წარმოადგენს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ერთობლივ ორგანიზაციას). ისეთი მნიშვნელოვანი შეთანხმებები, როგორცაა შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების შესახებ და შეთანხმება ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ვაჭრობის ჩამოყალიბებაში, რაც პირველ რიგში ეხება ქვეყანათა შორის ვაჭრობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სასურსათო უსაფრთხოების რეგულირება ყველა ქვეყანაში განსხვავებულია და ბუნებრივია ამ მდგომარეობამ არ უნდა შეუშალოს ხელი საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელებას. ორივე შეთანხმება სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ დაცული

იყოს თითოეული ქვეყნის ინტერესი და ამასთანავე დაცული იყოს მომხმარებელი მავნე პროდუქციისაგან. შეთანხმება სანიტარული და ფოტოსანიტარული სტანდარტების შესახებ ძირითადად სურსათის უვნებლობას შეეხება, შეთანხმება ტექნიკური ბარიერების შესახებ კი იმ ტექნიკურ სტანდარტებს მოიცავს, რომლებიც სურსათის ვაჭრობას შეეხება.

კოდექს ალიმენტარიუსის მთავარ პრინციპს სასურსათო უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა წარმოადგენს. საზოგადოდ, კოდექსის მთავარ მიზანს საკვები პროდუქტების უნივერსალური სტანდარტების დადგენა წარმოადგენს, რომელიც ჰარმონიზებულია ეროვნულ სტანდარტებთან.

ნაშრომის მოცემულ თავში განხილულია სასურსათო უვნებლობის ინსტიტუციონალური რეგულირება ევროკავშირში, უნდა აღინიშნოს, რომ სასურსათო უვნებლობის რეგულირება ევროკავშირის საერთო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დინამიური საკითხია. ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ რისკებს პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს. წლების მანძილზე სასურსათო უვნებლობის რეგულირების მექანიზმი არაერთხელ იქნა შეცვლილი და განახლებული. მისი ტრანსფორმაციისა და სრულყოფის პროცესი პერმანენტულად მიმდინარეობს.

საზოგადოდ, ევროკავშირის დონეზე სასურსათო უვნებლობის სფეროში მიმდინარე ყველა ძირითადი ინსტიტუციონალური ცვლილება საფუძვლად ემყარება ახალ ინტეგრირებულ მიდგომას – “ფერმიდან სუფრამდე”, რაც თავის მხრივ გულისხმობს: სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რისკების მრავალმხრივი შეფასებისა და მათი მართვის ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯვნის აუცილებლობის დანერგვას, აქცენტირებას მომხმარებლის დაცვაზე, დემოკრატიული ნორმების ჩამოყალიბებასა და ახალი სახის მარეგულირებელი ორგანოს შექმნას. დისერტაციაში სრულყოფილადაა წარმოდგენილი ევროკავშირის რეგულირება 2002/178-ის ანალიზი, ის მთავარი პრინციპები, პროცედურები და ვალდებულებები, რაც სასურსათო პოლიტიკასთანაა დაკავშირებული და უზრუნველყოფს სასურსათო ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირების შესაძლებლობას. კანონის მიზანია, უზრუნველყოს მომხმარებლის ინტერესებისა და ჯანმრთელობის უმაღლეს დონეზე დაცვა, ისევე როგორც, დაიცვას მომხმარებელი ყალბი და არაჯანსაღი პროდუქციისაგან. კანონი ითვალისწინებს იმ სავალდებულო ნორმების დაწესების

აუცილებლობას, რომელიც სურსათის შეფუთვისა და რეკლამირებასთან არის დაკავშირებული, რათა მომხმარებელი შეცდომაში არ იყოს შეყვანილი.

ნაშრომში განხილულია ევროკავშირის სასურსათო პოლიტიკის უმთავრესი კომპონენტი, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის კონკურენტუნარიანობას. მოცემული კომპონენტი რისკების ანალიზს გულისმობს. შეფასებულია ის მთავარი სამი სახის საქმიანობა, რასაც რისკების ანალიზი მოიცავს, კერძოდ: ა) რისკების გამოვლენა და შეფასება; ბ) რისკების მართვა; და გ) რისკების შეტყობინება, კომუნიკაცია.

აღნიშნულ თავში დეტალურადაა აღწერილი სასურსათო უვნებლობის ინსტიტუციონალური რეგულირება ისეთ სახელმწიფოებში, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, შვედეთი, უნგრეთი, ასევე ევროკავშირის შედარებით ახალი წევრები, ლიტვა, ლატვია, ჩეხეთი და ესტონეთი.

ნაშრომის მესამე თავში **“სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა და რეგულირება საქართველოში”** განხილულია სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში და აღწერილია ის ძირითადი უმნიშვნელოვანესი კანონები და რეგულაციები, რომლებიც სასურსათო უსაფრთხოებას განსაზღვრავენ.

მიუხედავად სახელმწიფოში განხორციელებული არაერთი რეფორმისა და წინ გადადგმული ნაბიჯისა, ქვეყნის სოფლის მეურნეობა და შესაბამისად სასურსათო პოლიტიკა გარკვეული საფრთხეების წინაშე იმყოფება. ამასთანავე, უმუშევრობა და სიღარიბე კვლავ აქტუალურია, რაც თავისთავად განსაზღვრავს მოსახლეობის მიერ მოხმარებული საკვების მოცულობასა და ხარისხს. ბუნებრივია, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა. სასურსათო უსაფრთხოება არის გარანტი, რომ ქვეყანაში არსებობს საკმარისი მოცულობის საკვები, ჯანსაღი და ჯანმრთელი სიცოცხლისათვის და არსებობს იმის ეკონომიკური შესაძლებლობა, რომ იგი იქნეს ათვისებული. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე პირობებში არცერთ ქვეყანას არ შეუძლია დამოუკიდებლად და სხვა სახელმწიფოებისაგან იზოლირებულად სასურსათო

უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ეროვნული წარმოებით, ამიტომაც იმპორტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სასურსათო უსაფრთხოება მოიცავს სურსათის უზრუნველყოფას, სურსათის ხელმისაწვდომობასა და სურსათის მოხმარებას.

სურსათის უზრუნველყოფა სურსათის საკმარისობის იდენტიურია, რაც მოსახლეობის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. იგი მოიცავს ეროვნულ წარმოებას, იმპორტსა და დანაზოგებს.

სურსათის ხელმისაწვდომობა გულისმობს, რომ ინდივიდს აქვს საკმარისი რესურსი საკვების მისაღებად. შემოსავალი, ტრანსფერები და სურსათის ფასები სურსათის ხელმისაწვდომობის მთავარი დეტერმინანტებია. რაც შეეხება სურსათის მოხმარებას, იგი გულისმობს, მოსახლეობის უნარს მოიხმაროს საკვები ბიოლოგიურად ადექვატური და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო კვებითი ღირებულების შემცველი პროდუქცია.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დონის დასადგენად მოცემულ ნაშრომში გამოიკვეთა ის მთავარი მაჩვენებლები, რაც პრიორიტეტულია. შესაბამისად, დასკვნები მოცემულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით გაკეთდა. აღსანიშნავია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორცაა სურსათის დანაკლისი (Food Deprivation), რომლის პროცენტულმა მაჩვენებელმა 2006 წლის მონაცემებზე დაყრდნობით 13 შეადგინა, იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში საშუალოდ ყოველი მეშვიდე მოქალაქე განიცდის სურსათის ნაკლებობას. ამასთან მოცემული მაჩვენებელი განსხვავებულია რეგიონებს შორის. საზოგადოდ, აღნიშნული პროცენტი მიუთითებს, რომ საქართველოში სურსათის დანაკლისი საშუალო დონეზე იმყოფება, ამასთან ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით შემცირებულია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სურსათის მოხმარება. როგორც ანალიზიდან ირკვევა, საკვების ენერგეტიკული ღირებულება ქვეყნის რეგიონებს შორის განსხვავებულია. ამას გარდა, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ძირითადად მიღებული რაციონის ხარისხობრივ დისბალანსსა და სურსათის ხელმისაწვდომობის არასაკმარისობაში გამოიხატება, ვიდრე სურსათის არარსებობით ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საკვების ენერგეტიკულმა ღირებულებამ 2008 წელს 2300 კკალ/დღეში-ერთ კაცზე შეადგინა, რაც აღემატება გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის რეკომენდაციას 2100 კკალ-ს დღეში. ამგვარი მდგომარეობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ მიღებული საკვების კალორიები რაოდენობრივად აღეჭვავტურია, რასაც ხარისხობრივზე ვერ ვიტყვით. მოსახლეობა ცილების მცირე მოცულობას მოიხმარს და მიღებული რაციონის 72%-ს ნახშირწყლები შეადგენს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, საოჯახო მეურნეობების ხარჯების 75% სურსათზე მოდის. სასურსათო პროდუქტებზე გაწეული ასეთი დიდი ხარჯები ბუნებრივია ამცირებს მოსახლეობის შესაძლებლობას თავიანთი შემოსავალი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაიტანონ, როგორცაა სამედიცინო ხარჯები, განათლება, დასვენება და ა.შ.

სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა განისაზღვრება სურსათზე ხელმისაწვდომლობით. ამ შემთხვევაში გამოკვლეულ იქნა ჯინის კოეფიციენტი, რომელიც შემოსავლების უთანაბრობას ზომავს ქვეყანაში. მოცემულმა მაჩვენებელმა 41% შეადგინა, რაც იმის მანიშნებელია, რომ შემოსავლების უთანაბრობა 41%-ის ტოლია.

სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზისას დეტალური ყურადღება უნდა დაეთმოს კანონმდებლობის არსებობას. საქართველოს კანონი სასურსათო უვნებლობის შესახებ, რომელიც 2006 წელს იქნა მიღებული, რამდენჯერმე იქნა მოდიფიცირებული და შეცვლილი, საბოლოოდ მისი მიღება 2015 წლიდან დაიგეგმა.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ანალიზს, რაც საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღნიშნული პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა არაწევრი ქვეყნების მიმართ საკუთარი კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზებაა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასურსათო უვნებლობის საკითხში ამ მხრივ, უმთავრესია ევრორეგულირება 178/2002. მოცემული კანონის თანახმად, ევროკავშირის ტერიტორიაზე მხოლოდ ის საკვები შევა, რომელიც აკმაყოფილებს წევრი სახელმწიფოების მოთხოვნებს. ნაშრომში ასევე განხილულია

რეგულირება 852/2004, რომელიც საკვები პროდუქტების ჰიგიენას შეეხება, რეგულირება 2092/91, ორგანული პროდუქტების შესახებ და სხვ.

დისერტაციის მეოთხე თავში “*კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის შედეგები*” მოცემულია ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია. სასურსათო პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სასურსათო პოლიტიკისა და რეგულირების ანალიზი და არსებული მდგომარეობის შეფასება.

ინფორმაციის მოსაპოვებლად განისაზღვრა ე.წ. საკვლევი მიზანი, კერძოდ:

- პასუხისმგებელი სამთავრობო პირები (20);
- სურსათის მწარმოებლები (18);
- ექსპერტები და არასამთავრობო სექტორი (9);
- მომხმარებლები (320).

ინფორმაციების მოპოვება განხორციელდა ინტერვიუების ჩატარების მეშვეობით და პირადი კონსულტაციებით. გამოიყო ის მთავარი საკითხები, რაც ინტერვიუების დროს იქნა გამოკითხული:

- სასურსათო პოლიტიკის სახელმწიფო რეგულირება,
- კანონის აღსრულება,
- კომუნიკაციის არსებობა სხვადასხვა ჯგუფებს შორის,
- სასურსათო უსაფრთხოების მთავარი განმსაზღვრელი ეკონომიკური ფაქტორები,
- საერთაშორისო და ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელება საქართველოში.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნა ნაშრომში შედეგებისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

ჩატარებული გამოკითხვის შედეგები დაჯგუფებულ იქნა იმ მთავარი საკვლევი ჯგუფების მიხედვით, ვინც იქნა გამოკითხული. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაკეთდა მნიშვნელოვანი დასკვნები, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

მომხმარებელთა უმეტესი ნაწილისათვის სასურსათო უსაფრთხოების ტერმინი ცნობილია და მათ იციან თუ რას წარმოადგენს მოცემული ფენომენი. მათ არსებული სისტემა შეაფასეს როგორც არაადაპტაციური და გამოყვეს ის მთავარი ფაქტორები, რაც საფრთხეს უქმნის სასურსათო უსაფრთხოებას: არაეფექტური სახელმწიფო კონტროლი და არასრულყოფილი საკანონმდებლო გარემო, ინფორმაციის სიმწირე და სასურსათო უსაფრთხოების პრაქტიკის სიმწირე მწარმოებლებში. გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი იცნობს საერთაშორისო სტანდარტებს და აღნიშნავს, რომ ეროვნული კანონმდებლობის მათთან ჰარმონიზება და განხორციელება დადებით გავლენას მოახდენს სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკაზე.

რაც შეეხება მწარმოებლებს, მათთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ისინი მრავალ პრობლემას აწყდებიან, კერძოდ აღსანიშნავია შემდეგი: პროდუქციის დაბალი ღირებულება, არასაკმარისი ფინანსები, ტექნოლოგიების სიმწირე, შემოსავლების დაბალი ღირებულება. მწარმოებლები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოში არასრულყოფილად მიმდინარეობს სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეფორმები. განსაკუთრებულ მხარდაჭერას ისინი პროდუქციის ექსპორტის განხორციელების ხელშეწყობაში ელიან, რაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საერთაშორისო კანონმდებლობის ეროვნულ კანონმდებლობასთან ადაპტირებასა და ჰარმონიზებაში.

აღნიშნულ კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი მთავრობის წარმომადგენლებს უჭირავს. ძალზედ მნიშვნელოვანია მათი აზრი სასურსათო პოლიტიკის ჩამოყალიბების შესახებ. გამოიკვეთა ის მთავარი საკითხები, რაზეც სახელმწიფოს წარმომადგენლებმა გაამახვილეს ყურადღება. მათი უმეტესობა მიიჩნევს, რომ საერთაშორისო კანონმდებლობის სრული ჰარმონიზება არის ძალზედ მნიშვნელოვანი. ისინი მთავარ პრობლემად კომუნიკაციების ნაკლებობას ასახელებენ. ისინი მუშაობენ ერთიანი საკომუნიკაციო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, რაც კოორდინაციას გაუწევს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას სასურსათო

უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ისინი თვლიან, რომ საჭიროა კიდევ უფრო მეტი ფინანსები, რაც მარეგულირებელ ორგანოებს საშუალებას მისცემს უფრო დიდი პასუხისმგებლობითა და ენთუზიაზმით განახორციელონ მოვალეობანი. გამოკითხულთა უმეტესობამ აღიარა, რომ მოცემულ სფეროში სპეციალისტთა დიდი ნაწილი საჭიროებს ცოდნის გაღრმავებას და სასურსათო უსაფრთხოების რეგულირების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას. ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა ის მთავარი რეკომენდაციები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია არსებული სისტემის გასაუმჯობესებლად.

არასამთავრობო სექტორი უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს თანამედროვე სასურსათო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ისინი მიიჩნევენ, რომ დღევანდელი სასურსათო პოლიტიკა მთელი რიგი სირთულეების წინაშე იმყოფება, რომელთა დაძლევა უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს პრეროგატივაა. უმეტესობის აზრით, არსებული სისტემა არ არის საკმარისად გამჭვირვალე, რაც მის სრულყოფას აფერხებს. ისევე როგორც ინფორმაციული უზრუნველყოფა მწარმოებლებისა და მომხმარებლების ძალზედ დაბალ საფეხურზე იმყოფება.

კვლევის მეთოდები ასევე ეფუძნება სტატისტიკურ ანალიზს, რომლის მეშვეობითაც შემოღებულ იქნა სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ინდიკატორები, როგორცაა სურსათის უზრუნველყოფა, სურსათის მოხმარება და სურსათის ხელმისაწვდომობა. თითოეული მათგანი იქნა გამოანგარიშებული და შემოღებულ იქნა მათი გაანგარიშების წესები. აღნიშნული ინდექსები გამოკვლეულ იქნა როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონულ ჯრილში. მოცემული ინდიკატორების შესაფასებლად ჩატარდა სტატისტიკური ანალიზი, კერძოდ გამოყენებულ იქნა რეგრესული ანალიზი და ორმაგი დაჯამების მათემატიკური მეთოდი.

ქვემოთ მოცემულია თითოეული ინდიკატორის გამოსათვლელი ფორმულები:

სურსათის მოხმარების ინდექსი = კვების რაციონის ღირებულება/ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით კვების რაციონის ღირებულება

სურსათის ხელმისაწვდომობის ინდექსი – ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული შემოსავალი/სასურსათო კალათის ღირებულება

სურსათის არსებობის ინდექსი – წარმოებული პროდუქცია/მოხმარებული პროდუქცია

თითოეული მათგანის გასაანგარიშებლად დადგინდა ზემოთ მოყვანილი ექვსივე მონაცემი და გამოთვლილ იქნა შესაბამისი ინდექსი. საკვლევი პერიოდად იქნა აღებული 1997-2008 წლები. აღსანიშნავია, რომ გამოკვლეულ იქნა როგორც ქვეყნის ინდექსი, ასევე ინდექსები რეგიონების დონეებზე. ქვემოთ ცხრილის სახით მოცემულია მიღებული ინდექსები. როგორც ცხრილიდან ირკვევა, საქართველოში ა) სურსათის მოხმარების ინდექსი საშუალოდ 0,89-დან 0,92-მდე მერყეობს. ეს არცთუ ისე მცირეა, რადგან შედარებით ახლოსაა ერთთან. რაც შეეხება ბ) სურსათის ხელმისაწვდომობის ინდექსს, მისი მაჩვენებელი 0.4-0.72 შორის მერყეობს, რაც შედარებით მცირეა მომხმარებლის ინდექსთან შედარებით და ბოლოს გ) სურსათის სურსათის უზრუნველყოფის ინდექსის მოცულობა 0.64-0.78 შორისაა, რაც ასევე მცირეა და შედარებით დაბალია 1-ზე.

ცხრილი 1. სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელი მთავარი ინდექსების მოცულობა (ა-სურსათის მოხმარების, ბ- სურსათის ხელმისაწვდომობის და გ) სურსათის უზრუნველყოფის ინდექსი)

	1997			1998			1999			2000			2001			2002		
	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ
საქართველო	0.89	0.40	0.66	0.89	0.43	0.65	0.89	0.44	0.64	0.89	0.42	0.68	0.87	0.43	0.70	0.91	0.60	0.68
აჭარა	0.90	0.39	0.67	0.90	0.43	0.64	0.90	0.44	0.63	0.90	0.40	0.67	0.89	0.42	0.71	0.90	0.61	0.67
იმერეთი	0.91	0.41	0.65	0.91	0.42	0.63	0.91	0.45	0.63	0.91	0.42	0.66	0.87	0.41	0.72	0.92	0.59	0.67
სამეგრელო & ზემო სვანეთი	0.88	0.38	0.60	0.88	0.43	0.61	0.88	0.40	0.59	0.88	0.43	0.69	0.85	0.40	0.69	0.92	0.60	0.65
გურია	0.80	0.38	0.61	0.80	0.40	0.60	0.80	0.41	0.64	0.80	0.44	0.62	0.82	0.39	0.68	0.90	0.61	0.69
რაჭა- ლეჩხუმი და ზემო სვანეთი	0.87	0.40	0.59	0.87	0.39	0.66	0.87	0.42	0.60	0.87	0.39	0.69	0.82	0.41	0.70	0.93	0.58	0.63
შიდა ქართლი	0.90	0.38	0.61	0.90	0.40	0.60	0.90	0.43	0.60	0.90	0.40	0.65	0.88	0.43	0.71	0.93	0.58	0.63
მცხეთა-მთიანეთი	0.89	0.41	0.66	0.89	0.42	0.67	0.89	0.45	0.65	0.89	0.42	0.69	0.85	0.44	0.68	0.92	0.61	0.68
კახეთი	0.80	0.42	0.63	0.80	0.39	0.64	0.80	0.41	0.64	0.80	0.39	0.63	0.89	0.41	0.70	0.94	0.58	0.68
ქვემო ქართლი	0.90	0.40	0.66	0.90	0.40	0.62	0.90	0.42	0.63	0.90	0.40	0.65	0.87	0.42	0.68	0.91	0.61	0.64
სამცხე-ჯავახეთი	0.88	0.40	0.65	0.90	0.40	0.64	0.88	0.43	0.63	0.88	0.41	0.65	0.89	0.42	0.71	0.90	0.61	0.63

	2003			2004			2005			2006			2007			2008		
	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ
საქართველო	0.89	0.56	0.76	0.92	0.58	0.85	0.92	0.65	0.82	0.91	0.69	0.77	0.91	0.70	0.78	0.92	0.71	0.74
აჭარა	0.90	0.55	0.77	0.90	0.59	0.86	0.90	0.67	0.80	0.90	0.70	0.71	0.90	0.72	0.75	0.90	0.71	0.69
იმერეთი	0.91	0.57	0.76	0.91	0.60	0.85	0.91	0.65	0.80	0.91	0.71	0.74	0.91	0.74	0.78	0.92	0.69	0.76
სამეგრელო & ზემო სვანეთი	0.88	0.55	0.74	0.93	0.59	0.84	0.93	0.66	0.83	0.89	0.72	0.76	0.89	0.78	0.76	0.92	0.72	0.72

გურია	0.80	0.54	0.73	0.90	0.61	0.86	0.90	0.60	0.83	0.89	0.67	0.78	0.89	0.69	0.78	0.90	0.73	0.72
რაჭა- ლეჩხუმი და ზემო სვანეთი	0.87	0.58	0.79	0.91	0.57	0.87	0.91	0.69	0.81	0.87	0.64	0.77	0.87	0.68	0.74	0.93	0.72	0.72
შიდა ქართლი	0.90	0.54	0.75	0.89	0.55	0.80	0.89	0.65	0.82	0.91	0.68	0.74	0.91	0.70	0.78	0.93	0.69	0.70
მცხეთა-მთიანე თი	0.89	0.60	0.79	0.90	0.59	0.83	0.90	0.68	0.84	0.90	0.64	0.75	0.90	0.69	0.74	0.92	0.70	0.71
კახეთი	0.80	0.58	0.73	0.89	0.57	0.83	0.89	0.62	0.83	0.91	0.68	0.79	0.91	0.72	0.78	0.94	0.71	0.73
ქვემო ქართლი	0.90	0.56	0.74	0.91	0.59	0.89	0.91	0.65	0.82	0.90	0.63	0.71	0.90	0.70	0.69	0.91	0.72	0.75
სამცხე-ჯავახეთ ი	0.88	0.40	0.65	0.90	0.40	0.64	0.90	0.43	0.63	0.88	0.41	0.65	0.88	0.42	0.71	0.90	0.61	0.63

მოპოვებული მონაცემების საფუძველზე წლების მიხედვით ჩატარდა ორმაგი დაჯამების მეთოდი. რომლის მიხედვითაც, სასურსათო უსაფრთხოების ინდექსების ორმაგ ჯამთან მიმართებაში – სურსათის მოხმარების ინდექსმა 41.24 % ; – ხელმისაწვდომობის ინდექსმა 25.39 %; ხოლო უზრუნველყოფის ინდექსმა 33.37 % შეადგინა. ამრიგად, უპირატესობა, ჩვენის აზრით, პირველ ინდექსს მიენიჭა.

რაც შეეხება რეგიონალურ კრილში, სტატისტიკური ანალიზის LINEST პროგრამის გამოყენებით, კორელაციურ – რეგრესიული ანალიზის საფუძველზე საკითხის განხილვას, აქ ასეთი სურათი მივიღეთ: რეგრესიის განტოლებას აქვს ასეთი სახე:

$$A = -3.10 \cdot 10^{-16} x_1 - 0.262 x_3 + 0.167 x_5 + 0.071 x_6 + 0.5238 x_7 + 0.4683 \text{ (სურსათის$$

საკმარისობის ინდექსის შემთხვევაში)

რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების მიხედვით ვხედავთ, რომ: X_1 – აჭარის სურსათის უზრუნველყოფის მაჩვენებლის ერთი ერთეულით გაზრდა, - რესპუბლიკის მაჩვენებელს ამცირებს $-3.10 \cdot 10^{-16}$ – ით, X_3 – სამეგრელო-ზემო სვანეთისა – 0.262 ერთეულით; ხოლო X_5 რაჭის, X_6 შიდა ქართლის და X_7 მცხეთა-მთიანეთისა – შესაბამისად ზრდის 0.167, 0.071 და 0.5238 ერთეულით . აქ A- ს თეორიული მნიშვნელობა – თავისუფალი წევრი 0.4683 – ის ტოლია. 0 – ვანი კოეფიციენტები კი გავლენის არ ქონას მიუთითებენ.

დეტერმინაციის კოეფიციენტის მნიშვნელობაა 0.9827. როგორც ვხედავთ, ის საკმაოდ ახლოსაა 1 – თან. ე. ი. კორელაციის დონე მაღალია, ანუ გაანგარიშებით მიღებული A –ს მნიშვნელობები უახლოვდება მის ფაქტობრივ მნიშვნელობებს. ანალოგიური ანალიზი ჩატარდა დანარჩენ ორ ინდექსთან მიმართებაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა საქართველოს ეკონომიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. მოცემული ტერმინი მრავალმხრივ ფენომენს წარმოადგენს და მის დეტალურად შესასწავლად მრავალმხრივი ფაქტორია გასათვალისწინებელი.

სასურსათო უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შექმნაში სახელმწიფოს პრიორიტეტული ადგილი უჭირავს. გამოკითხვიდან მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ სწორი რეფორმების გატარება და შესაბამისი საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბება უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. ამასთანავე, უნდა შეიქმნას სასურსათო უსაფრთხოების მართვის ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. მაკროეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და საბაზრო პრინციპების სრულყოფილად განხორციელება დიდად განსაზღვრავს სასურსათო უსაფრთხოების საერთო მდგომარეობას ქვეყანაში, ისევე როგორც კანონმდებლობის ჰარმონიზება ევრორეგულაციებთან და საერთაშორისო კანონმდებლობასთან პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. როგორც ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, სასურველია კანონმდებლობაზე მუშაობისას აქტიური კონსულტაციების განხორციელება უცხოელ ექსპერტებთან და კოლეგებთან. აუცილებელია ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა, რომელიც სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ სრულყოფილად მოახდენს ინფორმაციის მიწოდებას. აუცილებელია დაფინანსების წყაროების მოძიება, რაც სტიმულს მისცემს მწარმოებელს გააუმჯობესოს საკუთარი წარმოება და კონკურენტუნარიანობა. გამოკვლევების შედეგების მიხედვით, სასურსათო უსაფრთხოების ცოდნის და გამოცდილების გაღრმავების აუცილებლობა საქართველოს ხელისუფლებაში პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს, ამ მხრივ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოელი ექსპერტების კონსულტაციები და გამოცდილების გაზიარება საკმაოდ მნიშვნელოვანია. მიზანშეწონილია სპეციალური სტატისტიკური სამსახურის შექმნა, რომელიც განახორციელებს ინფორმაციის მოძიებას, შეგროვებასა და ანალიზს სასურსათო მდგომარეობის შესახებ.

ჩატარებული გამოკითხვის შედეგად კომუნიკაციის პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვანია სასურსათო უსაფრთხოებაში ჩართული მხარეებისათვის. ამ მხრივ, სასურველია საზოგადოების მეტი ჩართულობა და მონაწილეების მიღება. მომხმარებელს სისტემატიურად უნდა მიეწოდოს

ინფორმაცია სურსათის მდგომარეობის შესახებ, როგორც სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების მეშვეობით, ასევე სპეციალური გამოცემებისა და ბროშურების მეშვეობითაც. ასევე შესაძლებელია ელექტრონული ვებ-გვერდის შექმნა, სადაც ინფორმაციის განთავსება და შესაბამისად მისი განახლება სისტემატიურად განხორციელდება. კომუნიკაციის პრობლემა არსებობს სახელისუფლებო სისტემაშიც, რაც ვალდებულებების არათანაბარ გადანაწილებას იწვევს, ამ მხრივ უფლებამოსილების მჭიდროდ გამიჯვნა და კავშირების გაღრმავება უკიდურესად საჭიროა. ამას გარდა, მიზანშეწონილია საინფორმაციო სისტემის შექმნა, რისი მეშვეობითაც არსებული ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეწოდება.

სასურსათო უსაფრთხოება სასურსათო უვნებლობასაც მოიცავს. ჯანსაღი და უვნებელი სურსათის უზრუნველყოფა სახელმწიფოს პრეროგატივაა, რომელმაც კოორდინირებულად უნდა ითანამშრომლოს კერძო სექტორთან და აქტიურად ჩაერთოს წარმოების სრულ პროცესში, რაც გულისხმობს კონსულტაციებსა და ინფორმაციულ უზრუნველყოფას მეწარმეებისათვის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, რომელთა უდიდესი ნაწილი სასურსათო პროდუქციის მწარმოებელია.

საერთაშორისო და ევროკავშირის გამოცდილება იძლევა საშუალებას, რომ ქვეყანაში შეიქმნას სასურსათო უსაფრთხოების მარეგულირებელი თანამედროვე და ეფექტიანი სამსახური, მოცემული სამსახური შეაფასებს სასურსათო უსაფრთხოების შესახებ არსებულ მდგომარეობას და წარმოადგენს შესაბამის რეკომენდაციებს. მოცემული სააგენტო თავის საქმიანობაში პრიორიტეტს სასურსათო რისკების ანალიზს მიანიჭებს, რომელიც ევროკავშირის ერთიან მიდგომას, სურსათის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, მართვასა და კომუნიკაციას გულისხმობს, რაც მრავალმხრივი ანალიზის განხორციელების საშუალებას იძლევა. საზოგადოდ, ქვეყანაში უნდა შეიქმნას რისკების ანალიზის ტრადიცია. რისკების შეფასება სასურსათო უსაფრთხოების მართვის პროცესში უმთავრეს საძირკველს წარმოადგენს, რაც ობიექტურ და სამართლიან შეფასებას უნდა ეფუძნებოდეს, ამასთანავე რისკების მართვის ფუნქციების გადანაწილება სისტემის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს და ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილებას უწყობს ხელს. რისკების იდენტიფიკაცია დაფუძნებულია

ობიექტურ, დამოუკიდებელ შეფასებებზე, ხოლო რისკების მართვა, მათი კომუნიკაცია და გავრცელება უკვე სახელმწიფოს პრეროგატივა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საგანია.

ამასთან სასურველია მიღებულ იქნას სასურსათო უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონი, რომელიც შეეხება როგორც აღნიშნული სამსახურის საქმიანობას, ასევე განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებებსა და უფლებებს ამ საკითხის რეგულირებაში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფომ უნდა დანერგოს პოლიტიკა, თუმცა მისი აღსრულება და განხორციელება კერძო და არასამთავრობო სექტორისათვისაცაა ხელმისაწვდომი. კანონში ასევე განიხილება სასურსათო უსაფრთხოების ტერმინის განმარტება და ის მთავარი კომპონენტები, რაც მის შესაფასებლად არის აუცილებელი.

სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა საქართველოში ეკონომიკური ზრდის პირობებშია შესაძლებელია. როდესაც ვსაუბრობთ სურსათის მოხმარებასა და მიღებული საკვების შემადგენლობის ხარისხზე, აღნიშნული საკითხები ქვეყანაში შემოსავლების ზრდისა და სიღარიბის დაძლევის შედეგად აღმოიფხვრას. ეკონომიკური ზრდის პირობებში აუცილებელია ყურადღება დაეთმოს ქვეყნის ჩართულობას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. ამასთანავე, საერთაშორისო რეგულირებები, რომლებიც სასურსათო უვნებლობისა და უსაფრთხოების ჰარმონიზაციას შეეხება ქვეყნის სასურსათო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს როგორც საშინაო ასევე საგარეო ეკონომიკური ფაქტორების განხილვას, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელი ინდიკატორები, სურსათის უზრუნველყოფა, სურსათის ხელმისაწვდომობა და სურსათის მოხმარება. მათი შესწავლა, ანალიზი და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობაზე ზეგავლენა სახელმწიფო სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგულირების მთავარ პრიორიტეტებად უნდა იქცეს.

დაბოლოს, საზოგადოების აქტიური ჩართულობა სასურსათო უსაფრთხოების მიღწევაში თანამედროვე პირობებში საკმაოდ აქტუალურია, სახელმწიფომ, კერძო და არასამთავრობო სექტორმა კოორდინირებულად უნდა ითანამშრომლონ მდგომარეობის გაუმჯობესების

მცდელობით, რადგანაც სასურსათო უსაფრთხოება თავისი არსით სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს, მისი უზრუნველყოფა ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართულობას უზრუნველყოფს, რაც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია

1. ასათიანი რ., ასათიანი ს. (2009). *ბიზნეს-მენეჯმენტი და გლობალური კონკურენცია*. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
2. Asatiani Salome (2009), Food Security concept, condition and trends in Georgia, IBSU scientific journal, International Black Sea University, 2, 35-54
3. ასათიანი ს., ასათიანი რ. (2009). ეროვნული კონკურენტუნარიანობის არსი და პროდუქციის საწარმოო და მოხმარების ფაქტორები. *საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*. 23, 312-323,
4. ასათიანი, ს. (2008). გლობალური კონკურენციის ზეგავლენა მთავრობის როლსა და ფუნქციებზე. ბროშურა, (გრანტი № GNSF/PRESO7/2-137), თბილისი
5. Asatiani S. (2008). Food Safety Policy and Regulation at the EU Level, Tbilisi, The Brochure (Grant # GNSF/PRESO7/2-137)
6. ასათიანი, ს., და ასათიანი, რ. (2007). ევროკავშირში სასურსათო უვნებლობის რეგულირების საკითხისათვის. *საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 19, 312-317
7. Asatiani, S., Keshelashvili O., Dznelashvili G. and Lapachi A. (2008). Conceptual Positions for Credit Unions Development. *Bulletin of the Agrarian Economics Institute* (Scientific works). 2, 59-64.
8. Asatiani, S., Keshelashvili O., Dogonadze G., and Malharadze T. (2008). Conceptual Postitions for Perfection of Agricultural Enterprises Management. *Bulletin of the Agrarian Economics Institute* (Scientific works), 2, 64-67

9. Asatiani, S., Dogonadze G., and Gurtskaia K. (2008). World Trade Organization and Foreign Trade of Agro-Food Sector. *Bulletin of the Agrarian Economics* (Scientific works),. 2. 77-80
10. Asatiani, S. (2007). Policy options and Overview for managing food price risks and instability in a liberating market environment. *Annals of the Agrarian Science*, 5. 108
11. Asatiani, R., Asatiani, S. (2002), Agricultural Extension: World Experience and Tendency of Development, *Monograph*, Tbilisi, Georgia
12. Asatiani, S. (2000), Rural Safety and Social & Economic Problems - The challenges of XXI Century, *Georgian State Agrarian University*, Essays from National Conference of Economics Students, Tbilisi, Georgia